

პირველი ნიშნები უკეთესი დასაწყისი

პირველი ნიშნები უკეთესი დასაწყისი

თავის დასაწყისი 30 წლის რეპეტიციის ფიზიკური კულტურა და სპორტი — ერის სანაზარებო!

ვის საბჭოს დადგენილება. სხვა კომპარტივეები, რომლებიც განლაგებული არიან ყოფილი რესტორნის შენობაში (მანქანის მინების ჩამომსხმელი, საკონდიტრო, სამკერვალო) და სახალხო განათლების საცხენოსნო სპორტსკოლაში (ფეხსაცმლის შემკერი და სპორტულ-სამედიცინო კომპარტივეები „მუსტანგი“), ჩვენთან რეგისტრირებული არ არიან და მათი ფუნქციონირება შესახებ ნაქლები ინფორმაცია გვაკლია.

ნაგებობას წარმოადგენს სპორტულ-სამედიცინო ცენტრის ჩარბისას ვერ მარხონდა მისი მთავარი დანიშნულება, რის გამოც შეუძლებელია მთელი წლის განმავლობაში ცხენთაშენების სეზონის გაგრძელება.

ამიერკავკასიაში შექმნილია მრავალმხრივი კრიზისული ვითარება იპოდრომის ცხოვრებაში წელს უაღრესად მტკიცეულად იჩინა თავი. ამჟამად იპოდრომზე ცვლით 142 ცხენს, რაც მარშანდულზე ნახევარზე ნაკლებია. წელს არ გამოგვეყო მანქანები ლატარაში გასათამაშებლად, რაც უდაოდ უარყოფითად იმოქმედებს იპოდრომის ეკონომიკურ მაჩვენებელზე.

გაზეთში სწორად არის დასმული საკითხი რესპუბლიკაში მეცხენოების განვითარების და ცხენთა გენოფონდის შენარჩუნების შესახებ. არ არის დასაშალო, რომ ცხენთა სულადობა ბოლო 15 წლის განმავლობაში რესპუბლიკაში 3,5-ჯერ შემცირდა, ამჟამად საქართველოში 21 ათასი სული ცხენია რაც დასაფიქრებელია, თუმცა მთავრობის შემოსახვეული დადგენილებით რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებში უნდა გახსნილიყო საწინააღმდეგო და ცხენსაშენებელი ცხენთა სულადობის ზრდისათვის.

იმისათვის, რომ გაიზარდოს სულადობა, მეცხენოების და ცხენისნობის ეროვნული ტრადიციები სრულად აღორძინდეს და კვლავ ჩაიდგეს ცხენის ხალხის კეთილდღეობის სამსახურში, აუცილებლად მიმართა, შეიქმნას ამ სფეროში ერთიანი მწყობრი სისტემა (სოციალიზმის, რომელიც არა მარტო თბილისისა და ყუბარის ცხენსაშენებელთა კავშირებს, არამედ შეკრავს რესპუბლიკის მეცხენოების ერთ ძლიერ ორგანიზმად, იზრუნებს ქართველ ცხენოსანთა კარდების მომზადებას და აღზრდაზე, რაც ჩვენთვის ამჟამად ძალზე მტკიცეული საკითხია.

როგორც ხელმძღვანელს მიმართა, რომ ტერიტორიული გაყვანილობა იქნას ყველა ორგანიზაცია, რომელიც იპოდრომს არ ექვემდებარება და არ იზიარებს მის ქვეყნს და ლხინს. იპოდრომს დაუბრუნდეს ის, რაც მას ეკუთვნოდა დაარსების დღიდან, მხოლოდ მანქანადაცხენად დადებითად ის პრობლემატიკური საკითხები, რომლებიც თქვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა. იპოდრომს უნდა ჰყავდეს ერთი საერთო ხელმძღვანელი.

ნიხაილ ტატიშვილი, თბილისის სახელმწიფო იპოდრომის დირექტორი.

რედაქციასთან: ბასუნი თუმცა კომენტარს მოითხოვს, ამჯერად თავს ვიკავებთ, ვინმე მეორე მხარე — საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის სახელმწიფო კომიტეტი, ვისი მისამართითაც დასმული იყო შეკითხვები, ბევრ სადაო საკითხში შეტანს სიტყვას.

ოსტატობა კვალიერი მოსდავს...

დიხ, ის ასეა და თვალის ადრინდებულად უზრის თამაზ იმანივილი



თამაზ იმანივილიმ გაიმარჯვა მსოფლიო თახის გათამაშების მორიგ ეტაპზე, რომელიც პოლანდიაში ჩატარდა. ქართველმა სნაიპერმა 219 ქულა მოაგროვა და 2 ქულით ჩამოიტოვა მეორე ადგილზე გასული პოლანდიელი სპორტსმენი. მესამე ადგილი ცნობილმა ბერნარდ პოხვალდმა (გერ) დაიკავა — 216 ქულა. თამაზ იმანივილი დღეს მოემზავრება პოლანდიდან და ამდენად, ამ გამარჯვების შესახებ უფრო დეტალურებით გაზეთ „ლელოს“ უახლოეს ნომერში მოგიტობთ.

ორიოდე წელია აღარ შეგვიტყვია ამბავი თამაზ იმანივილის მორიგი გამარჯვების შესახებ. სეულ-ის ოლიმპიადის შემდეგ ჩვენმა სხელოვანმა მესტერდურემ, როგორც იქნა, თავს დასვენების უფლება მისცა, მით უმეტეს, რომ მას პირადი, საყოფაცხოვრებო საკითხებიც ჰქონდა გადასაწყვეტი.

მიენიჭა პროფესორის წოდება

სსრ კავშირის უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ განიხილა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წარდგინება და ზაქარია ალექსანდრეს ძე თელიას მიანიჭა პროფესორის წოდება.

პრაქტიკული გლობალა

პარაკში მსოფლიო თახის გათამაშების შესარჩევი ტურნირის ბოლო ტურის წინ მოეწყო გადაღებული პარტიების დამთავრება, რომელშიც კიდევ უფრო ჩახლართა მონაწილეთა მდგომარეობა. როგორც ცნობილია, ფინალის საგზურებისათვის იბრძვის ხუთი საბჭოთა და შვიდი უცხოელი მოკვარავე, პრეტენდენტი კი, მოგვსენებათ, მეტია.

ბოლო დანაკლისი

პარაკში. ჩოგბურთელთა საფრანგეთის ღია ჩემპიონატის მორიგი სამუშაო დღე კიდევ ერთი სენსაციური შედეგით აღინიშნა. მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი, არგენტინელი გაბრიელა საბატინი დამარცხდა ჩეხოსლოვაკელი იანა ნოვოტნასთან — 4:6, 5:7. მეოთხედღიანში გავიდა აგრეთვე მონიკა სელეში (იუგოსლავია), რომელმაც ლევილა მესხთან ძნელი გამარჯვების შემდეგ, ადვილად აჯობა პერუელი ლაურა გილდენისტერს — 6:4, 6:0. ქალთა ტურნირში ნახევარფინალის საგზურებისთვის შებოძოლნი ასე დაწყვილდნენ: შტეფი გრა-

კერძოდ, ტერიტორია 53 ჰექტარს მოიცავს, ფაქტურად, იპოდრომს ეკუთვნის 33, დანარჩენი სხვადასხვა უწყებებსა და ორგანიზაციებზეა მიმდგრებული და, ბუნებრივია, ისინი არავითარ აღმინისტრაციულ დაქვემდებარებაში არ არიან ჩვენთან. ასეთი ორგანიზაციებია: სპორტსაკომის საცხენოსნო სპორტული ბაზა, სახალხო განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სპორტსკოლა, „დინამოს“ საცხენოსნო ბაზა, სახელმწიფო აგრომრეწვითან შექმნილი ჩოგბურთის შემსწავლელი კომპარტივე „ჩოგანი“, ასევე, აგრომრეწვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპარტივე „ლელო“, სადაც მუშაობს იოგა-თერაპიის, სირბილის, გამაჯანსაღებელი, საბრძოლო ხელოვნების სწავლების, ათლეტური ტანვარჯიშის ჯგუფები. აქვეა სამკერვალო... საბურთალოს რაიონის ავტოსამშენებელი, რესპუბლიკის დინამოთა კავშირის ავტოფარეხი, ასოციაცია „კომპლექსის“ დირექცია, რომელიც განლაგებულია ყოფილი რესტორან „ისინდის“ შენობაში და ამჟამად მშენებარე საქმეკავშირის მუზეუმი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებს თავიანთი ხელმძღვანელობა ჰყავთ და დამოუკიდებელ ბალანსზე იმყოფებიან.

რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში ძნელია ტერიტორიის კეთილმოწყობასა და მასზე სანიმუშო წესრიგის დამყარებაზე იზრუნო. ეს ცნობილია როგორც სახაგრომრეწვის, ასევე საბურთალოს რაიონის ხელმძღვანელობისათვის. რაც შეეხება იპოდრომზე განლაგებულ კომპარტივეებს, მოგახსენებთ, რომ იპოდრომმა მისთვის გამოუყენებელი სარდაფები და ზოგი სათავსო გადასცა სამეურნეო წარმოების კომპარტივეებს „ილიონს“, „სამეულს“, „ლადას“ და „მშენებელ-88“-ს. ისინი სათანადო წესისა და კანონის გათვალისწინებით იმდენ იჯარას, დადებული აქვთ ხელშეკრულება და ეხმარებიან იპოდრომს სამეურნეო საქმიანობის გვერდითადად წარმართვაში. გარდა ამისა, კომპარტივე „ილიონს“ მზად არის დაამზადოს საცხენოსნო სპორტული ტრანსპორტი (შეტყობინებები რესპუბლიკის რაიონებში დაგზავნილი გვაქვს). ამ კომპარტივეების ჩვენთან ფუნქციონირებაზე არსებობს რაიონსაკომისა და ორგანიზაციის შრომითი კოლექტი-

ვის საბჭოს დადგენილება. სხვა კომპარტივეები, რომლებიც განლაგებული არიან ყოფილი რესტორნის შენობაში (მანქანის მინების ჩამომსხმელი, საკონდიტრო, სამკერვალო) და სახალხო განათლების საცხენოსნო სპორტსკოლაში (ფეხსაცმლის შემკერი და სპორტულ-სამედიცინო კომპარტივეები „მუსტანგი“), ჩვენთან რეგისტრირებული არ არიან და მათი ფუნქციონირება შესახებ ნაქლები ინფორმაცია გვაკლია.

1980 წლის 16 დეკემბრის №918 სადირექტივო დადგენილება მიზნად ისახავს რესპუბლიკაში მეცხენოებისა და საცხენოსნო სპორტის განვითარების გზებსა და ამოცანებს. ამ დადგენილებების საფუძველზე ბევრი ახალი რამ დაინერგა ჩვენს იპოდრომზე. კერძოდ: საფუძველი ჩაეყარა ისეთ საინტერესო საცხენოსნო სახეობას, როგორც არის „სტილჩიზი“. აშენდა საცხენოსნო სპორტისათვის საუცხოო საკონკურსო მოედანი, გაეკეთა, განათების სისტემა, გახსნა საცხენებელი ბილიები. 1987 წელს ჩავატარეთ XXX საკავშირო შეჯიბრება, რომელიც 1971 წლის შემდეგ არ ჩატარებულა, სისტემატურად იმართება შეჯიბრებები ცხენოსნობის როგორც ეროვნულ, ისე კლასიკურ სახეობებში. მეორე წელია, რაც თბილისის იპოდრომზე, ეროვნული საცხენოსნო სპორტის აღორძინების მიზნით, ვატარებთ მარულას 10 კმ-ზე, რასაც ჩვენი საზოგადოებრიობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა. ბოლო სამი წელია ჩვენმა იპოდრომმა სსრკ-ის 63 იპოდრომს შორის მეხუთე ადგილი დაიკავა და საკავშირო აგროკომისიის განაწილებაში მოხვდა. მოვემატა კატეგორიაში. გასულ წელს იპოდრომმა სამეურნეო წელი 64 ათასი მანეთის მოგებით დაამთავრა (II ადგილი მსოფლიოს იპოდრომის შემდეგ), დამყარდა 2 საკავშირო რეკორდი ახალთაშორი ჯიშის ცხენებისათვის. ვერ სრულდება მთავრობის დადგენილების ის პუნქტი, სადაც დაგეგმულია იპოდრომზე გამოცადის 500-მდე ცხენი. მიზეზი ისაა, რომ ცხენის 150 ადგილი სხვა ორგანიზაციებს უკავიათ. იპოდრომის ტრიბუნები მოძველებული სტილის

ბის მასობრივ განაწილება მოხდეს (თანაბარი ქულებით). ასეთ შემთხვევაში ორგანიზატორთა განცხადებით არც ბერგერი და არც ბუხნოლის მეთოდი არ გამოიყენება. არის რამდენიმე კრიტერიუმი (თასის პირველი გათამაშების შედეგები, წინასწარი შერჩევის ტურნირების მაჩვენებლები, რეიტინგი და ა. შ.), რომლის მიხედვითაც თანაბარქულეობათა შორის მოხდება ადგილების განაწილება. გუშინ, 15 საათსა და 30 წუთზე თბილისის დროით დაიწყო ბოლო, მეთერთმეტე ტურის პარტიების თამაში.

გამარჯვება 18 სულაში

მონაპარაკი ვაეთა 50-ე რესპუბლიკური ჩემპიონატზე გაიმართა VIII ტურის შეხვედრები. სულ 18(!) სულა დასჭირდა ზაზა ხოფერიას გვიგოიჩაშვილის დასამარცხებლად. ხოფერიამ ნიმცოვიჩის დაცემა დებიუტშივე პაიკი შესწირა მეტოქეს. გოგიჩაშვილს ზუსტად რომ ეთამაშა, ალბათ უკეთეს პოზიციაში ზედმეტ პაიკსაც შეინარჩუნებდა, მაგრამ უხეშო შეცდომა დაუშვა, ფიურა დაკარგა და თავი დამარცხებულად სცრა. ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა ოსტატობის კანდიდატმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-

ტის ისტორიის ფაკულტეტის პირველკურსელმა აკაკი იშვილმა, რომელმაც სვინა სუპერატვილი დაამარცხა.

რომან სიქინავასა და იანის პოპოვის შეხვედრაში პარტიის ბედი ორმხრივმა ციტირებმა გადაწყვიტა: სიქინავამ რამდენიმე არასუსტი სვლა გააკეთა და დამარცხდა.

ამ ტურის სხვა პარტიები ასე დამთავრდა: ტაბატაძე-კაკაბაძე 1:0, საბურჯანია — კუჭუხიძე 0:5:0,5, დგებუაძე-კეკელიძე 0,5:0,5, მანავაძე-ჭურულაია 0,5:0,5, გალტანდილა-შალამაძე-ბაღათურიანი პარტია 3:1. **3:1 ნიხაილ ვაშაქიძე.**

შედეგები - პირველი

რადამის სპორტსმენებმა დაამარცხეს „გლაზო ვესტერისი“ (დიდი ბრიტანეთი) წარმომადგენლები — 4:0 და საპატიო ჯილდო დაისაკუთრეს. **პარდიში.** უელსის დედაქალაქში მიმდინარე დიდი ბრიტანეთის მძლეოსანთა ეროვნული ჩემპიონატზე სიტე ბაკლიმ 88 მეტრსა და 46 სანტიმეტრზე ტყორცნა შუბი. ეს შედეგი 64 სანტიმეტრით ჩამორჩება შეველ ბატრეკ ბოლენის მიერ ამ ცოტა ხნის წინ დამყარებულ მსოფლიო რეკორდს.

კონკონი. გაიმართა ნიხოსანთა ტრადიციული შეჯიბრება „დრაკონის“ ნაგებში. მარშან ამ რეგატაში კანადელმა დაამარცხეს მთავარი ფავორიტები — ჩინელები. წლეულს იკ ჩინეთი ნაგმა დამარცხებული რეგენში აიღო — 2:32,89.

კონკონი. აქ მიმდინარე მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ქალთა 10-კლომეტრის დისტანცია ყველაზე სწრაფად კატრინ ულრიკმა (გერ) დაფარა. მისი შედეგი 32.25.00 წლეულს მსოფლიოში საუკეთესოა.

მონაკი. მოკურავეთა საერთაშორისო შეჯიბრების ბოლო დღეს ლინდენბერგელმა ელენა ვოლკოვამ ორი პირველი ადგილი მოიგო. იგი უძლიერესი იყო ბრასის სტილით 50 და 200 მეტრზე კურავში (შესაბამისად 31,75 და 2,32,32).

ტექნიკურ უნივერსიტეტთან განუთისი

თავდაპირველად სარბიელზე სტუდენტები ვაჟები გამოვიდნენ, შეხვედრათა დაძაბულობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, 12 გუნდიდან ყველა თუ არა, ნახევარი მაღალი კლასის ხელბურთს აჩვენებდა. თანდთან გამოვლინდნენ ფავორიტები და ფინალურ ოთხეულში მონაწილეობის უფლება მიიპოვეს ტექნიკური უნივერსიტეტის, ზოოვეტერინარული ინსტიტუტის, ფიზკულტურისა და თვალის პედიატრიული ინსტიტუტის გუნდებმა. გადაწყვეტი ბრძოლები წრიული სისტემით წარიმართა. ნათელი იყო, რომ ტურნირის მასპინძლები — თელაველი ხელბურთელები დიდ მეტოქეობას ვერ გაუწევდნენ „შესანიშნავ სამეფოს“.

ტექნიკური უნივერსიტეტის სპორტსმენები უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ თავიანთ მეტოქეებზე, გადამწყვეტი მატჩში ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს საკუთარ ქულა ართვის (32:32) და უნივერსიტეტის

ჩემპიონები გახდნენ. გამარჯვებულთა მწვრთნელი სპორტის ოსტატი ჯემალ ბარამიძე.

მეორე ადგილზე არიან ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენები, მესამეზე — ზოოვეტერინარული ინსტიტუტის წარმომადგენლები.

შემდეგ ასპარეზი გოგონებს დაეთმო. ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა (მწვრთნელი — ნ. შარაშენიძე) აქაც იმარჯვეს და ბურთების უკეთესი შეფარდებით უკან ჩამოიტოვეს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდი. მესამე ადგილს წილად ხვდა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივს.

საინტერესოა სპეციალისტების აზრი უნივერსიტეტის 90-ის პროგრამით გაართულ ხელბურთელთა ტურნირზე. კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს ჰაბუტა ნაკრების მწვრთნელს მერაბ მეტრეველს: — უბირველეს ყოვლისა, მაღლობა მა-

სპინძლებს. თავად ტურნირის სპორტული ღონე მაღალი იყო. განსაკუთრებით ეს ეხება ფინალურ ჯგუფში მასპარეზე გუნდებს, როგორც ვაჟებს, ისე გოგონებს. შემოძლია ვთქვა, რომ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე უნივერსიტეტში არ გვიხილავს ასეთი დაძაბული ორთაბრძოლები, რაც იმდენი გვაგვებს. თბილისის „ბურვესტნიკის“ ბოლოდროინდელი წარმატებებიც რომ ამასვე მეტყველებს. რაც შეეხება პერსპექტივას, ალბათ, მალე მორაგბეთა მსგავსად, ჩვენც ჩავატარებთ ეროვნულ ჩემპიონატს — ესე იგი, ერთდროულად ვისაპარეზებთ როგორც შინაურ ეროვნულ ჩემპიონატში, ისე საკავშირო პირველობაში. პირველი ეროვნული ჩემპიონატი გვიჩვენებს, თუ რამდენად ვართ მზად სრულიად დამოუკიდებლად გმართოთ ქართული ხელბურთი.

ლევან ჯავახიშვილი.



სტამბულიდან — ყველა სინჯის კედლით

306 ვინ და მწვრთნელი არტიო ლავროვი, რომელიც ახლა თურქ მოკრივეებს ავარჯიშებს, კარგად იცნობს საბჭოთა მოკრივეების ძალას. იგი ხომ წლების განმავლობაში სავაშვილი ელვა ქვეყნის ნაკრებს, უცხოეთში მისი დებიუტი, როგორც მწვრთნელისა, ოფიციალურ შეჯიბრებაზე ჯერ არ გამოართულა. ცხადია, თავის შერცხვენა არ სურს და საგანგებოდ ამზადებს თურქეთის ეროვნულ გუნდს მომავალი ჩემპიონატებისთვის. სპარინგატზე ნორად კი საბჭოთა მოკრივეებზე უკეთეს ვის ნახავს. სულ მოკლე დროში თურქეთის ნაკრებმა თავის ქვეყანაში რამდენიმე გუნდს მიიწვია ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრებისათვის. კერძოდ, თურქეთში იყვნენ პერმელი, მოსკოველი, აზერბაიჯანელი ტყავის ხელთათმანის ოსტატები, ამ დღეებში კი სტამბულიდან დაბრუნდა საბჭოთა კავშირის ჰაბუტ მოკრივეთა გუნდი, რომელშიც საქართველოს ხუთი წარმომადგენელი ირიცხებოდა. ესენი იყვნენ: მესტიელი რამაზ ფალიანი (48 კგ), ბურთა-რიკოს შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზორი, თბილისელი კახაბერ ბარაი (54 კგ), ფოთელი პაატა გვახაია (57 კგ), ქუთაისელი მათე კოლუაშვილი (67 კგ) და თბილისელი აკაკი კაკაურიძე (71 კგ). უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ჰაბუტა გუნდი თანატოლთა ნაცვლად სტამბულის რინგზე მობრძილთა ნაკრებს შეხვდა.

რ. ფალიანი და მ. კოლუაშვილი ასპარეზობიდან ვერცხლის მედლებით დაბრუნდნენ. ამასთან, მესტი-

ელმა მოკრივემ ფინალში უძლიერეს კუბელ მეტოქეს სძლია, მაგრამ მსაჯებმა ვერ გაიმეტეს მისთვის გამარჯვება მიეცათ. ა. კაკაურიძემ კი ნახევარფინალამდე მიადგა და საბოლოოდ ბრინჯაოს მედალი ერგო. რაც შეეხება კ. ბარაის (მწვრთნელი სპორტის ოსტატი ი. შეხვეტკოვი), მას უძიმესი ბრძოლები გადახდა. პირველი შეხვედრის შემდეგ, რომელშიც კახაბერმა ჩეხოსლოვაკიელ მეტოქეს სძლია, ზედიზედ შეხვდა ძლიერ მასპინძელ მეტოქეებს. განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა მისი ფინალური ბრძოლა ევროპის, მსოფლიო პირველობებისა და სულელის ოლიმპიადის მონაწილე 27 წლის ტურქუსთან, რომელსაც მხურვალედ უჭერდნენ მხარს მრავალათასიანი ტრიბუნები. თბილისელმა მოკრივემ, მართლაც, შესანიშნავად ჩაატარა ეს ორთაბრძოლა და მეტოქე სამჯერ ნოკაუტშიც კი აღმოჩნდა. სტუმრის ასეთ უპირატესობას თვით მიკვრძობული მსაჯებიც ვერსად გაეჭყენ და გამარჯვება კ. ბარაის მიაკუთვნეს. სხვადასხვა შორის, ტურქებმა წინასწარ შეხვედრაში დაამარცხა კუბელი მეტოქე...

ახლა საბჭოთა ჰაბუტ მოკრივეებს ჩეხოსლოვაკიის სარბიელი ელით, სლავ ეგლისში ევროპის თანატოლთა ჩემპიონატის შეხვედრები გაიმართება.

ს უ რ ა თ ე : ახე გამოიყურებოდა სტამბულის სპორტის სახალღეში მჩატე წონის მოკრივეთა კვარცხლბეკი. შუაში — გამარჯვებული კახა ბარაი.

საპარტველოს მოთხილაგურეთა ასოციაცია

ყველა შეჯიბრება რომ ზეიმი იყოს! — აი, მოკლედ ასე შეიძლება განვსაზღვროთ ახლად შექმნილი საქართველოს მოთხილაგურეთა ასოციაციის დანიშნულება.

თუ აქამდე ჩვენი შეჯიბრებები ხშირ შემთხვევაში ცალკეული ენთუზიასტების მონაწილეობის ხარჯზე ტარდებოდა და ნამდვილად აკლდა პროფესიული მიდგომა, ახლა ყოველივე ეს რადიკალურად შეიცვლება — თვითონ ასპარეზობის ჩატარებაც, ვახსნისა და ნამდვირის ცერემონიალი, დაჯილდოება, ატრიბუტიკა (მედალები, სამკერდე ნიშნები, ვიშნალები, პროგრამები, აფიშები) და სხვა.

ახალი ასოციაციის გაერთიანებას პროფესიონალ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაკთა და მოყვარულთა დაქმნა მიაქვს, საკუთარი ანგარიშით შექმნის თავის ფინანსურ ბაზას. ერთი სიტყვით, იურდიულ-

ლად იქნება გაფორმებული. ამაში მოთხილაგურეთა ასოციაციის სპონსორების დიდი იმედი აქვს. ცხადია, ასოციაციის უმთავრესი დანიშნულებაა შეჯიბრებების მაღალ დონეზე ჩატარება ბაკურიანში, გუდაურში, მესტიასში თუ სხვაგან. ამასთან, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ასპარეზობები, როგორც წესი, კვირაში ერთხელ მაინც იმართებოდეს, მათ შორის, ცხადია, თხილაგურების მოყვარულთათვის, დამსწერებელთათვის. ასეთი კი სეზონში 20 მაინც უნდა გაემართოს თითოეულ რეგიონში.

ყოველივე ამის შესახებ ილაპარაკეს ახალი ასოციაციის დამფუძნებელ კრებაზე სიტყვით გამოსვლებში: ვახსნაჩე მიქელაძემ (არქიტექტორი, გუდაურის სპორტული კომპლექსის მთავარი ინჟინერი), გელა მიქაბერიძემ (რესპუბლიკური საერთა-საოთხილაგურთა სკოლის უფრო-

სი მწვრთნელი), ფერბენქს ნავერინამა (საქართველოს სპორტსაკომის ზამთრის სახეობათა განყოფილების უფროსი), ოთარ გოციოძემ (კურორტ ბაკურიანის დირექტორი), ალექსანდრე კანდელაკმა (ინჟინერი, მსახურთა კოლეგიის წევრი), იური ოგანეზოვმა (ბაკურიანის სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის დირექტორი) და სხვებმა.

როგორც ცნობილი გახდა, მომავალ სეზონში გუდაურში განზრახულია მოთხილაგურთა კურორტის მსოფლიო ჩემპიონატის („სკიე“) ჩატარება, მანამდე კი, ზაფხულის პერიოდში, მესტიასში გაიმართება ბორის კახიანის ტრადიციული რიგით III მემორიალი საერთა-საოთხილაგურთა სპორტში. ორივე შეჯიბრების ორგანიზაციაში უშუალო მონაწილეობას მიიღებს ახალი ასოციაცია.

დამფუძნებელმა კრებამ აირჩია ასოციაციის გამგეობა. საქართველოს მოთხილაგურეთა ასოციაციის პრეზიდენტად არჩეულია რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის უფროსი მენცერი-თანამშრომელი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ანზორ ხვედელიძე.

ოთარ ოთარაშვილი.

საპარტველოს მოსწავლეთა სპარტაკიადა დრო კიდევ გვაქვს

უაჩინდობამ გარკვეულწილად ხელი შეუშალა ჩვენს ნორჩ მძლეონებს სრულად ეჩვენებინათ თავიანთი შესაძლებლობა. რესპუბლიკის მთავარ სტადიონზე მიმდინარე მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გამოართული ასპარეზობის დროს რამდენჯერმე წამოწვიდა და აცივდა კიდეც საქართველოს მოსწავლე მძლეონათა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ყარაამ საბანაშვილი, ძირითადად, კმაყოფილია სპორტსმენთა მიერ ნაჩვენებ შედეგებით. თუმცა რამდენიმე შენიშვნაც გამოთქვა. „კიდევ გვაქვს დრო, — თქვა მან ბოლოს, — რომ საწვრთნელი შეკრებები ჩატარდეს და მომზადდეს დასახულ ღონეს მივალწვიოთ. ამიტომ იმ გუნდის საბოლოო სახე, რომელიც მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადზე მიიღებს მონაწილეობას, ჯერ არ დაგვიდგინა“.

ჩვენი მხრივ კი დავუმატებთ, რომ უფროსი მწვრთნელის შექმნა ეკუთვნის ცალკეულ სახეობებში მოასპარეზე სპორტსმენებს და არა ყველა მონაწილეს, რადგან ზოგ დისციპლინაში საკმაოდ დაბალი შედეგები აღინიშნა. მტყორცნელებმა, რომლებიც მუდამ გამორჩევიან ჩვენს გუნდში, ამჯერად ისე ვერ დასპარეზეს, როგორც ელოდნენ.

გადაცნობთ, საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადში გამარჯვებულებს ცალკეული სახეობების მიხედვით:

გოგონები. 100 მ. ე. კურტუვა (თბილისი) — 12,64. **200 მ.** ბ. გოციოძე (ქარელი) — 26,0. **400 მ.** ნ. მახნელი — 59,55. **800 მ.** ა. ჩორბაგალი (ორივე — თბილისი) — 2,19,0 და 4,47, 26. **2 კმ** სპორტული ხაირაული. თ. ვარკაშვილი (გარდაბანი) — 28,18,4.

4X100 მ. თბილისი (ნ. შახნეკო, მ. ბოვიანი, ა. ტურაშვილი, ე. კურტუვა) — 50,8.

თარჯინები. 100 მ. ს. ევლოკიძე (აჭარა) — 15,5; **400 მ.** ტ. იუიუკინა (თბილისი) — 1,11,22.

სიგრძეზე ხტომა. ი. მურჯიკელი (გორი) — 5,26 მ. ხიმალაძე (თბილისი) — 4,13,48. 8000 მ. ვ. გოციძე (ქიათურა) — 9,15,2. 4X100 მ. თბილისი (ლ. ხარტაიძე, ს. ერმილოვი, კ. სკორიკი, კ. გივაშვილი) — 44,5.

თარჯინები. 110 მ. კ. ფურტარაძე (ქარელი) — 15,5; **400 მ.** დ. სამადაშვილი (გურჯაანი) — 1,00,32. **2 კმ წინააღმდეგობით.** ბ. მთავრიშვილი (გარდაბანი) — 7,36,8.

სიგრძეზე ხტომა. კ. ნინუა (სამტრედიასი) — 6,56 მ. ხიმალაძე. ლ. საგინეკო — 180 სმ. კოკი. გ. რაზუვაივი (ორივე — თბილისი) — 4,00 მ. ხიმალაძე. ს. მერაყიშვილი (გორი) — 14,66 მ.

ბირთვი. რ. მემარნე (აჭარა) — 15,25 მ. ხარბა. გ. ბლუაშვილი (თბილისი) — 48,68 მ. შუბი. ა. ცხოვრებაშვილი (ქარელი) — 57,74 მ. გუნდური პირველობა. 1. თბილისი, 2. აჭარა, 3. გარდაბანი.

მარიონე ბიგაშვილი.

საპარტველოს ველოსიპედისტთა აპტორიტები იზრდება

ბოლო ერთი თვის მანძილზე საქართველოს ველოსიპედისტებმა რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა და საკმაოდ კარგი შედეგები აჩვენეს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი წარმატება საგზაო ველოსიპედის რბოლის ოსტატებს ადრე არასოდეს ჰქონიათ. ამ შეჯიბრებებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თურქეთის მრავალდღიანი რბოლა იყო.

თურქეთში საერთოდ ორ მრავალდღიან ტურს ატარებენ. ერთი, როგორც წესი, მარტში ეწყობა ხმელთაშუაზღვის სანაპირო გზებზე, მეორე კი მაისში, ჩვენთან უფრო ახლოს, შავი ზღვის სანაპიროზე. მარტის რბოლაში საქართველოს ველოსიპედისტებმა მესამე გუნდური ადგილი დაიკავეს, ჩვენი ლიდერი ვასილ დავიდენკო კი პირად ჩათვალა მეოთხე იყო. ამ შეჯიბრებაში საქართველოს კოლექტივმა საკმაოდ კარგი შედეგები დატოვა და ორგანიზატორებმა იგი მისის რბოლაშიც მიიწვიეს.

ამჯერად ტრასაზე არ გამოსულა გუნდის ლიდერი ვასილ დავიდენკო, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატისთვის საგანგებო გრაფიკით ემზადება და სხვა გეგმიურ შეჯიბრებებში გამოდის. თურქეთში მოასპარეზე ნაკრები ასე გამოიყურებოდა: ოლეგ კორნიენკო, მამუკა ყურაშვილი, კახა ოდიკაძე, გარი კეხა, ხვიჩა ბარბაქაძე და ვანტანა პაპუაშვილი (მწვრთნელები — საქართველოსა და ყაზახეთის დამსახურებული მწვრთნელი კარლო შენგელია, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ავთო ხახაიური, ნოდარ ყურაშვილი, გურამ მამულა-

შვილი, ვლადიმერ სიდანოვა). გუნდი ოლიმპიური მომზადების ცენტრის „ფიგის“ აღსაზრდელთაგან იყო დაკომპლექტებული.

ასპარეზობაში სულ თვრამეტი გუნდი გამოდიოდა. მათში მთავარ ფავორიტად ითვლებოდა კუბინეცის (რუსრ-ს) გუნდი, რომელიც ქვეყნის ნაკრების საბაზო კოლექტივის წარმომადგენს და საკმაოდ ძლიერი ველოსიპედისტებით არის დაკომპლექტებული. საქართველოს წარმომადგენლებისთვის, რომლებიც ასევე ერთ-ერთი უმძლეესი ადგილის დაკავებას ვარაუდობდნენ, მთავარი ორიენტირი სწორედ კუბინეცელებად გუნდი იყო და რბოლის მთელი ტაქტიკა მასთან მეტოქეობაზე იყო აგებული.

ამ მხრივ გადაწყვეტი აღმოჩნდა III ეტაპი, რომელშიც რეალურად გამოყვება ბრძოლის ხასიათი და ერთმანეთს დაუბრისპირა საქართველოს და კუბინეცის გუნდები. ეტაპის პირველ კილომეტრებზე გაქცევა დააპირა ოდიკაძემ, რომელსაც მაშინვე გვერდში ამოუდგა კუბინეცელები ველოსიპედისტი. მკირე ხნის შემდეგ მათ შეერო თბილისელი, კორნიენკო მეთერთადა. ცხადია, ლიდერთა შორის ძალთა ასეთ შეფარდებას კუბინეცელები წინ აღუდგნენ, ამიტომ ოდიკაძემ ტაქტიკური მოსაზრებებით უკან დაიხია. ეტაპი კორნიენკომ მოიგო და დაწინაურდა პირად ჩათვალა.

მომდევნო ეტაპების მეოთხე ტაქტიკა თბილისელ და კუბინეცელებს ველოსიპედისტთა ბრძოლაზე აიგო. გართულებას, მდგომარეობის გამწვავებას არც ერთი კოლექტივი არ აპირებდა. ყველა შეუივრდა

აზრს იმის შესახებ, რომ ბრძოლა ახალი ძალით მხოლოდ ბოლო ეტაპზე იფეთქებდა. ასეც მოხდა. სტარტიდან კვლავ ოდიკაძე დაწინაურდა თურქ ველოსიპედისტთან ერთად. მათ სულ მალე კიდევ სამი ველოსიპედისტი დაედგნა (ერთი კუბინეცელი, ერთი ლიტველი და კახაბა). ლიდერთა ჯგუფში მყოფი კუბინეცელი მაინც და მაინც არ აქტიურობდა. პირიქით, შესაძლებლობის ფარგლებში „ამუხრუჭებდა“ კიდევ რბოლას. 69-ე კილომეტრზე კუბინეცელებს მანქანა დაუზიანდა და დაწინაურებული შორის დარჩა ორი თბილისელი და ერთი ლიტველი. ძირითადი ჯგუფისთვის ეს განგავის სიგნალი იყო. კუბინეცელები შესამჩნევად გააქტიურდნენ და ბოლოს მთელი ჯგუფი შეუერთდა ლიდერებს.

ამ სწორმა ტაქტიკურმა მიხედვებმა კუბინეცის გუნდი იხსნა მარცხი-საგან. საბოლოო ჯამში გუნდური პირველი ადგილი ერთნაირი დროით (რაც იშვიათად ხდება ხოლმე) საქართველოსა და კუბინეცის ველოსიპედისტებმა გაიყვეს. ეს დიდი წარმატებაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ შეჯიბრებაში 18 გუნდი მონაწილეობდა. მეორე, არანაკლებ სასიხარულო ფაქტი გახლავთ ის, რომ პირად ჩათვალა თურქეთის მრავალდღიანი რბოლის ჩემპიონი თბილისელი ოლეგ კორნიენკო გახდა. თხოვრებ უძლიერეს ველოსიპედისტს შორის მოხვდნენ ოდიკაძე, კეხა და ყურაშვილი. თანაც ამ უკანასკნელმა ბოლოსწინა ეტაპის სა-

ოსკარის უთქაბი ნაღონადი დიდ ფახსურთში

ჯაკრო თელიას, ვფიქრობთ, წარდგენა არ სჭირდება სპორტის მოყვარულთა წინაშე. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ექიმმა თავისი საქმიანობა სპორტს დაუკავშირა. გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს ფიზიკულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი ჯაკრო თელია უფრო ხშირად თბილისის „დინამოს“ („იბერიას“) იხსენებს — ამ გუნდს იგი უკვე 85 წელიწადია ემსახურება.

— ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ქალაქის საექიმო ფიზიკულტურის №1 დისპანსერში გამანაწილეს მთავარ ექიმად. გამანაწილეს, მაგრამ, კარი რომ შევალე, გამიკვირდა: დისპანსერი პატარა ოთახი აღმოჩნდა. ექვს თვეში მოვებენ „დინამოს“ სტადიონზე 800 კვ მეტრის ფართობი და ავამოქმედებ ვანმრთელობის ცენტრი, რომელიც საქართველოს თითქმის ყველა სპორტსმენს ემსახურებოდა. აქვე შეიქმნა სპეციალური კლინიკა, რომელშიც იდილაური პირობები იყო მოწყობილი. აქ ვმკურნალობდით ტრავმირებულ სპორტსმენებს. პირველად კალათბურთელებმა მოხიზვეს მათთან — „დინამოში“ მემუშავა ექიმად, ორი წლის შემდეგ კი ანდრო ყორღანის თხოვნით ფეხბურთელებთან გადავედი და უკვე 35 წელიწადია გუნდში ვარ. — ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი ბატონმა ჯაკრომ.

● ამ წლის მანძილზე თქვენ დინამოელთა რამდენიმე თაობასთან მოგიხდით ურთიერთობა. რა წინინი გამოიჩინებდნენ ისინი ერთმანეთისგან?

— ჩემთვის პირველი ბასას-დროინდელი თაობა იყო. ისინი, მიუხედავად იმისა, რომ იმ ტემპით არ ვარჯიშობდნენ, როგორც ახლანდლები, უფრო ამტანები, ვაკაკები იყვნენ. 70-იანი წლების „დინამოში“ კი ტალანტების, ვარსკვლავების მოზღვავება იგრძნობოდა. ორივე თაობა უდიდესი პიროვნული თვისებებით ხასიათდებოდა. ახლანდლები თუ არ მიწყენენ, აღენიშნავ: მართალია, მათ მეტეორული საფუძვლებით ავარჯიშებენ, კვების რაციონიც ათასჯერ შემოწმებულ-შემუშავებული აქვთ, მაგრამ თამაში მაინც არ გამოსდით...

● თქვენ წელან ანდრო ყორღანია ახსენეთ. ამბობენ, სწორედ მას ჰქონდა დიდი ნიჭი სპორტსმენის აღმოჩენისა...

— მართალი ბრძანდებით. ბატონ ანდროს მართლა ჰქონდა ფეხბურთელის გამოცნობის ტალანტი. ერთ დღეს პატარა, თმაგარე-

ჩილი, ტანდაბალი ბიჭი მომიყვანა, მოვიდავეს უფრო ჰგავდა. მთხოვა, ერთი-ორი თვით შემინახეთ. მაშინდელ „დინამოს“ რა ბაზა ჰქონდა?! ჩემთან, სტაციონარში უნდა მიმეცა ღამის გასათევია. რაში გამოვადგებოთ ეს „მტანგისტი“-მეთქი. „დიავოლ“, — მიპასუხა — რასაც გეუბნები, ის ვაკეთე. ეს ბიჭი მსოფლიო მასშტაბის ფეხბურთელი დადგებაო. — არც შემცდარა, ის ბიჭი მურთაზ ხურცილავე გახლდათ. ასევე აღმოჩინა ზოფლის მარაზე მხარზე თოხადებული ასოვანი ბიჭი, რამაზ ურუშაძე, რომელიც შემდეგში დიდი მეკარე გახდა.

● დღეს ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს ცხოვრებაში, გარდაქმნამ წარსულის თავისუფალი კრიტიკის უფლება მოგვცა. ხომ ვერ გაიხსენებთ რაიმე ისეთს, ადრე ტაბუ რომ ჰქონდა დადებული?

— მართალია, ადრე პრესით და ტელევიზიით ვერ გამოვდიოდით, მაგრამ ხალხმა ყოველთვის იცოდა სიმართლე თავისი გუნდის შესახებ. უცხო არ უნდა იყოს მეტეფელთათვის, რომ ჩვენი მოწინააღმდეგე გუნდის მწვრთნელები თამაშის წინ სპორტსმენებს არიგებდნენ, რაც შეიძლება მეტი ჩვენთან გამოეყვანათ მწყობრიდან. მათ იცოდნენ ქართველების ფეხქეხადი ხასიათი და ისიც, რომ ამ უხეშობით მიადგენდნენ ქართველთა გუნდის დეზორგანიზაციას.

● თქვენი პაციენტებიდან ყველაზე მშიშარა რომელი იყო?

— თითქმის ყველა, რამდენადაც მინდობრზე მეტბოლონი ჩანან, იმდენად ექიმთან ცახახებენ. გამორჩეულად კი, ძველებიდან ბასა იყო ძალიან ურჩი, ახლებიდან — დალი ყიფიანი — ნემსის დანახვაზე გული უხდებოდა ცუდად.


● ყველაზე რთული ოპერაცია ვის დასჭირდა?

— ასათიანს... სამწუხაროდ, მწვრთნელები ხშირად ერეოდნენ ექიმის საქმიანობაში. კახიმ ერევნის „არარატთან“ თამაშისას დაი-

ზინა მუხლი. საჭირო გახდა ოპერაციის გაკეთება. ყველაფერი მოვახადეთ ამისთვის მე და ოთარ ლულუშაურმა, მაგრამ... ავადმყოფი „მოთარეს“ და მოსკოვში გადააფრინეს. ოპერაცია უიღბლო გამოდგა. საჭირო გახდა ჩვენი ხელმეორედ ჩარევა. მაგრამ პირველი ოპერაციის შემდეგ მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ კახი ჩამოშორდა დიდ სპორტს. ხშირი იყო შემთხვევები, როცა გამულმეული ტრავმების გამო ფეხბურთელი ეთხოვებოდა მინდორს და ბურჯის. ამ მიზეზით ვავიდნენ დიდი ფეხბურთელიან ვოვა ელოშვილი, გურამ პეტრიაშვილი, შოთა ხინჩაგაშვილი და სხვები.

● ხომ ვერ გაიხსენებთ 1981 წლის 18 მაისს. ყველა ფეხბურთელი ამ დღეს ჩანჩქრითელი იყო?

— ყველა, ჩივადის გარდა. მისი თამაში მატჩის დაწყების წინ გასახლდებოდა დაწყებულ წინა დღეს საშას მალალი ტემპერატურა ჰქონდა. წამლებს ვერ ვიყენებდი, „დოპინგ-კონტროლი“ მოქმედებდა. ისევ ხალხურ მედიცინას მივმართე: დავალევიე უოლოს მურაბიანი ჩაი, ცაცხვის ფოთლის ნაყენი, ჯარგად დაეუხილე მთელი ტანი. მე-



ესაუბრა იზნა ჩახვანგილი.

ორე დღეს კი ყველამ ნანა, როგორ ითამაშა საშამ „კარლ ცაისის“ წინააღმდეგ. ამგვარი სიტუაცია ხშირად მქონია. იამანიძე, ხურცილავე, ხინჩაგაშვილი, სულაქველიძე. კეტაშვილი ხშირად უიმედო მდგომარეობიდან გამოიყვანია.

● ერთ-ერთ ტელეგადაცემაში ცნობილმა კინორეჟისორმა ნიკიტა მიხალკოვმა აღნიშნა, რომ ფიზიკულტურა აძლევს ადამიანს ჯანმრთელობას, სპორტი კი პირიქით, ფიტავს მის ორგანიზმს. თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?

— ვეთანხმები. დღევანდელი სპორტსმენის ფიზიკური დატვირთვა ზღვრულ ძალეს აღემატება. ამიტომ აუცილებელია დიდ სპორტსმენს განსაკუთრებული სამედიცინო მეთვალყურეობა ჰქონდეს. მოკიდავე შოთა ლომიძემ, ფაქტიურად, დანივალდებულმა დატოვა სპორტი.

— სპორტის წმინდა მამაკაცურ სახეობებში ამ ბოლო დროს გახშირდა ქალთა მონაწილეობა. რა აზრის ხართ ამასთან დაკავშირებით?

— ამ ბოლო დროს იმდენად წამამძველები გავხდით, მგონი, გადავაჭარბეთ კიდევ. ის კი გავაიწ-

ყდება, რომ ქალი უნდა დასრულდეს, დამშვენდეს, სპორტი კი ამას ხშირ შემთხვევაში ხელს უშლის. ვინ მათეფს, ქალდენი უნდა გონა მოდის ჩემთან ქალის თიზიოლოგიური ფუნქციის წინაშე. მათ კი ათიწლებით, რომ ისინი დედები უნდა გახდნენ. უცხოეთში ქალთა სპორტი ინდივიდუალური ხასიათისაა, ჩვენში კი უკვე მასობრივ ხასიათს ღებულობს. მე სასტიკი წინააღმდეგი ვარ სპორტის მამაკაცურ სახეობებში ქალების მონაწილეობისა და მომზრებებიც მყავს სახლგარეეთ.

● „დინამოსთან“ ერთად თითქმის მთელი მსოფლიო შემოიარეთ, მოგზაურობებს კი კურიოზული შემთხვევებიც ახლავს. ხომ ვერ გაიხსენებთ რაიმე ამგვარს?

— ასეთი შემთხვევის წყალობით ჩემი სურათი ბრიტანეთის უდიდეს გაზეთში „ბრიტანეთის მამაში“ მოხვდა. „ლივერპულთან“ თამაშის წინ სასტუმროს რესტორანში ვითხოვე წყლება სავეტ ბოთლი, არჩევის უფლება მომცეს, ამოვიჩიე, მაგრამ ხომ იცით, ყველაფერი უცხოური გამოლეა და ეტიკეტი ვერაფრით მოვაკილე. აღმოჩნდა ცნობილი სმირნოვის არყის ბოთლი. როდესაც ბოთლს ბიჭებს ვაწვდიდი, ვცდობოდი ეტიკეტი არ გამოჩენილიყო, მაგრამ უცხოელმა კორესპონდენტებმა მოახერხეს, სურათი გადამიღეს და მეორე დღეს გაზეთში დაბეჭდეს წარწერით: „უდიდესმა ფსიქოლოგმა ჯაკრო თელიამ ჩვენთან ჩამოსმული სმირნოვის არყის ბოთლით ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინა გუნდზე“.

● როგორ დაარიგებთ ახალბედა სპორტსმენებს?

— იწამონ მედიცინის ძალა. მეტი ყურადღება მიაქციონ დიდი ფიზიკური დატვირთვის პერიოდში შრომისუნარიანობის აღდგენას. იცხოვრონ სპორტული რეჟიმით და დაფასონ საკუთარი ექიმები.

● სპორტულ მედიცინაში ვინ მიგანიათ თქვენი კვალის გამგრძელებლად?

— დღეს თითქმის არ არსებობენ წმინდა წყლის სპორტული ექიმები. ამ პროფესიას ხომ გამულმეებული დაძაბულობა, უთავბოლო მოგზაურობა და ათასგვარი თავსატეხი ახლავს. ჩემი კვალის გამგრძელებლად კი, საკუთრივ ფეხბურთელთა ექიმად, ლანჩუთის „გურიის“ ექიმი დიმიტრი ზაალიშვილი მესახება. მას ტარტუში აქვს დამთავრებული სპეციალური სპორტული მედიცინის ფაკულტეტი და შესანიშნავად მუშაობს თავის გუნდთან. დიმიტრის აქვს უნარი იმისა, რომ არა მარტო ტრავმა მოუშუშოს ფეხბურთელს, არამედ მის ფსიქიკასაც ჩასწვდეს. საერთოდ კი, სპორტული მედიცინა ექიმების კრიზისს განიცდის.

ესაუბრა იზნა ჩახვანგილი.



მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის კონკაჟის ქვეყნების ჯგუფში ლიდერებად იმთავითვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და კოსტა-რიკის გუნდები ითვლებოდნენ. სპეციალისტთა პროგნოზი გამართლდა, სწორედ ამ ორმა გუნდმა მოიპოვა იტალიის საგზურები.

ნაკრების უფროსი მწვრთნელი, 54 წლის მარინ როდრიგესი კმაყოფილი იყო ტურნირის შედეგებით: გვატემალა — კოსტა-რიკა 1:0, კოსტა-რიკა — გვატემალა 2:1, კოსტა-რიკა — აშშ 1:0, აშშ — კოსტა-რიკა 1:0, ტრინიდადი და ტობაგო — კოსტა-რიკა 1:1, კოსტა-რიკა — ტრინიდადი და ტობაგო 1:0, სალვადორი — კოსტა-რიკა 2:4, კოსტა-რიკა — სალვადორი 1:0.

მ. როდრიგესმა ნაკრები ჩაიბარა შესარჩევი ტურნირის პირველ მატჩში გვატემალელებთან დამარცხების შემდეგ, მისი კონტრაქტი 1990 წლის 31 ივლისამდე ითვალისწინებდა უფროსი მწვრთნელის პოსტზე ყოფნას.

ისინი იტალიაში გამოვლენ

იტალიის საგზურის მოპოვების აღსანიშნავად კოსტა-რიკაში სამდღიანი დღესასწაული გამოცხადდა და ამ ზეიმის ერთ-ერთი მთავარი გმირი, სწორედ მარინ როდრიგესი გახლდათ. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო და უფროსი მწვრთნელსაც არაფერი ჰქონდა სანერვიულო. „ჩვენი ნაკრების შემადგენლობა საკმაოდ თანაბარია, — ამბობდა იგი, — თუმცა, გამოჩენილი ვარსკვლავების გარეშე. გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის დებიუტანტია და ჩვენც ვეცდებით, კარგი მთაბეჭდვლება დავტოვოთ იტალიაში“.

კოსტა-რიკა

კოსტა-რიკის პრეზიდენტი, ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი ოსკარ არიასი ფეხბურთის თავადსაღებელი გულშემოტყვარია, აქტიურად ერევა ნაკრების მზადების მსვლელობაში. სწორედ მისი უშუალო განკარგულებით გაანთავისუფლეს მ. როდრიგესის წინამორბედი და, ყველასთვის მთულოდნელად, როცა თემერვალში „მალბოროს“ თასის გათამაშებაში ნაკრებმა წარუმატებლად ითამაშა, იგივე კედს ეწია თავად როდრიგესსაც. კოსტა-რიკელთა გუმინდელი კერპი უმუშევარს დადრჩა.

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე სულ სამი თვითადრე გუნდს სათავეში ჩაუდგა ახალი მწვრთნელი

— ცნობილი იუგოსლავიელი სპეციალისტი ბორან მილუტინოვიჩი, რომელიც ავტორიტეტული პიროვნება საფეხბურთო სამყაროში. უკანასკნელ, 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მ. მილუტინოვიჩმა შეძლო მასპინძელთა (მექსიკელთა) საწვლად ონის გუნდი გაეყვანა რვა უძლიერესი შორის. ამჯერად იუგოსლავიელი მწვრთნელი საქაოდ რთულ მდგომარეობაშია.

„მექსიკაში მე რამდენიმე წელი მქონდა გუნდის მონაწილედ, ახლა კი მხოლოდ რამდენიმე თვე, — განაცხადა მან. — როდრიგესს თავისი

შეხედულება ჰქონდა გუნდის შემადგენლობაზე, მე შედარებით სხვა აზრი მაქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მე გუნდის თამაშის სტილის შეცვლას ვაპირებ. ნაკრები თავის ტრადიციულ ფეხბურთის ითამაშებს“.

მანც, ვინ შეიძლება ვიხილოთ კოსტა-რიკელთა რიგებში იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე: მეკარეები — ლუსი გაბელი კონეხი (დაიბადა 1960 წლის 1 იანვარს), ხორხე ანტონო იდალგო (14.10.63); მცველები — ვლადიმირ კესადა (12.05.66), როხერ ფლორესი (26.05.57), მაუროციო მონტროლი (19.10.63), ერიკე დიასი (23.02.59); ნახევარმცველები — ზუან კაიასო (24.06.61), ექტორ მარჩინა (4.01.65), პერმან

იტალია-90

ჩაგარია (19.03.59), ოსკარ რამირესი (6.12.64), ალვარო სოლანო (25.06.61), კარლოს მარია იდალგო (15.02.54), მარჩინ თბანდო (4.04.60), ლუსი ხარა (6.05.59); თავდამსხმელები — ლეონი ფლორესი (24.01.65), ევარისტო კორნადო (12.09.60), ერნან მედფორდი (23.05.68).

მათ გარდა შესარჩევი მატჩებში მონაწილეობა მიიღეს სხვა ფეხბურთელებმაც: მეკარეები — რ. ბარანტესი (25 წლის), ა. გონსალესი (34); მცველები — ლ. საეცი (25), ე. სალსარი (26), ხ. ჩავესი (31); ნახევარმცველები და თავდამსხმელები — ხ. როვერსი (23), ე. უანხოპე (24), გ. გიმარესი (25), ხ. არგუდსი (20), ე. ველასკესი (28), კ. იარა (31), ე. როდენი (29), ნ. გომესი (25), ა. დიურანა (26), ლ. ფერნანდესი (27).

მაინც ვისზე შეაჩერებს თავის ყურადღებას ახალი უფროსი მწვრთნელი? გადაახალისებს ნაკრებს თავისი შეხედულებით, თუ შეეცდება გუნდის ძირითად ბირთვზე დაყრდნობით მიადწიოს რაიმე შედეგს? და, ბოლოს, წარუმატებლობის შემთხვევაში, რაც არ არის გამორიცხული, მისაც თუ დაატყდება თავს პრეზიდენტის რისხვა? ყოველ შემთხვევაში, თავად ბორან მილუტინოვიჩი არ გამორიცხავს თავისი კონტრაქტის გაგრძელებას კოსტა-რიკის ფეხბურთის ფედერაციასთან.

თავის უშუალო მეტოქეებს მსოფლიო ჩემპიონატის შესამე ქვეჯგუფში კოსტა-რიკის ნაკრები ოფიციალურ მატჩებში ჯერ არ შეხვედრია.

ბიშორბი შორაბია.

იტალია-90

პალეიდოსკოპი

● 38 წლის წინ შვეიცარიაში გამართულ მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატში ყოველი მატჩის საშუალო შედეგია იყო 5 გოლი. 1986 წელს მექსიკაში ეს მაჩვენებელი 2 გოლამდე დავიდა.

● გოლი 20 წელია, გუნდებმა რომლებმაც მსოფლიო ჩემპიონატი მოიპოვეს, ვერც ერთხელ ვერ მიღწეეს გამარჯვებას შემდგომი ჩემპიონატის გახსნის მატჩში.

● გოლის ნაკრების მეკარეს მიშელ პრიულომს მიჩნია, რომ ქული მას სათანადოდ ვერ იცავს მხსნან, ამიტომაც გადაწყვიტოდა აქვს მინდობრზე მუქი სათვალთ გამოვიდეს. მაგრამ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წესების შესაბამისად მას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მოუხდებდა ამის თაობაზე არბიტრისგან საგანგებო თანხმობის მიღება.

● იტალიის პოლიციამ ქალაქ კალიარში დააპატიმრა 3 ინგლისელი გულშემოტყვარია, რომელთაც ბრალოდ ედებათ სასტუმროში... ქვეშაგების ქურდობა.

4 035060 გათმარა 1 ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის მატჩი. სოხუმის დინამოელები ბაქოში შეხვდნენ „ნეფთჩის“. დაძაბული ბრძოლის შემდეგ წარმატება წილად ხვდა „ნეფთჩის“ — 1:0.

საქართველოს პედაგოგიკის ინსტიტუტი

(დასასრული)

შეუღებელი ფინანსები გამარჯვება მოიპოვა. ერთი სიტყვით, თურქეთში მობრუნებულმა წარმატებამ საქართველოს ველოსპორტის განვითარებას კარგი საერთაშორისო რეკლამა შეუქმნა. გაიბა ახალი კონტაქტები: წელს ივლისში ახალისს ეწვევა თურქეთის ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტი და რამდენიმე ქალაქის მერი. ამ ვიზიტის მიზანია კიდევ ერთი საინტერესო, ერთობლივი რბოლის დაფუძნება, რომელიც პრიობით შეიძლება ვუწოდოთ თბილისისასმსუი.

ზემოთ გაკვირებ მოგახსენებ, რომ მსოფლიო ჩემპიონატისათვის სამზადისთან დაკავშირებით ამ რბოლაში მონაწილეობა ვერ მიიღო საქართველოს გუნდის ლიდერმა ვახაშვი დავითიძემ. იგი ამ დროს იაპონიის ქალაქ ნაგოიაში იმყოფებოდა, აქ, სადაც უნდა ჩატარდეს წლევიანდელი მსოფლიო ჩემპიონატი.

არსებული ტრადიციის თანახმად, მომავალი ჩემპიონატის ტრასებზე მთელი საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც 26 ქვეყნის უძლიერესი ველოსპორტისტები გამოვიდნენ. მათ შორის იყო ვასილ დავითიძეც. შეჯიბრება სამი რბოლისაგან შედგებოდა. პირველი 120-კილომეტრიანი რბოლა-თბილისელმა სპორტსმენმა მოიგო. დავითიძეც დასაწყისშივე აღმოჩნდა დაწინაურებული რეაქციის წყალობით. აქ უზრუნველყოფით „მეორეობდნენ“ ერთმანეთს იაპონელი, ესპანელი, იტალიელი, ფრანგი და ამერიკელი ველოსპორტისტები და მხედველობიდან გამორჩა მათთვის უცნობი მეტოქის (დავიდენკოს) ტაქტიკური მანევრი. თბილისელმა სპორტსმენმა ბოლო ექვსი კილომეტრი მარტოდ-მარტოდ იარა და ფინიშის ხაზიც ვეულად გადაკვეთა.

მეორე ეტაპზე ფავორიტებმა „უცნობი თბილისელს“ მკაცრი კონტროლი დაუწყეს. მაგრამ დავითიძემ

მინც მოახერხა მათი გატყობა და ფინიშის ხაზი ფრანგ ფილიპ ლაურენსთან ერთად გადაკვეთა. გამარჯვებულის გამოსვლიდან საქირო გახდა ფოტოფინიშის გამყვანება და მხოლოდ ამის შემდეგ მიეკუთვნა პირველი ადგილი ფრანგ ველოსპორტისტს, დავითიძე კი მეორე ადგილზე დარჩა.

მესამე ეტაპზე ჩვენს სპორტსმენს მინჯნა დაუზიანდა და ამის გამო ფინიშის ხაზი ძირითად ჯგუფთან ერთად გადაკვეთა.

პარილის ბოლოს საფრანგეთში იმყოფებოდა ჩვენი რესპუბლიკის ველოსპორტის ქალთა გუნდი (ქობულეთელი სტელა პრიახინა, ნატალია სამბაშიძე და რუსთაველი ინეტა კირიანოვა), რომელიც ვაძლიერებული იყო ქვეყნის ნაკრების ორი წევრით — მოსკოველ ბაკნოვათა და ამერიკელ კალიანსაოთ. საერთაშორისო რბოლაში მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ველოსპორტის მთელმა ელიტამ, რაც ჩვენს

თვის მოულოდნელი იყო. აი, ასეთ ავტორიტეტულ შეჯიბრებაში (ასპარეზობდა 24 სხვადასხვა ქვეყნის გუნდი), საქართველოს ველოსპორტისტებმა მესამე საბრძოლო ადგილი დაიკავეს, რაც ყველასთვის სიურპრიზი იყო. დასამალი რაა, საქართველოს ქალთა ველოსპორტის საერთაშორისო ასპარეზზე ნაკლებად იცნობენ.

ჩვენმა ლიდერმა პრიახინამ პირად ჩათვალა გამორჩენა თავი. რიგრიგით სტარტით რბოლაში იგი გამარჯვებულს სულ რაღაც 13 წამით ჩამორჩა, მეორე ეტაპზე პრიახინა, მსოფლიოს ჩემპიონი ფრანგი მარშალი და კალიანა ლიდერთა ჯგუფში აღმოჩნდნენ. ეს ეტაპი რომ ამ სამეულს მოეგო, საქართველოს გუნდი რბოლის ჩემპიონი ვახდებოდა, მაგრამ ფინიშთან გაქცეულს ძირითადი ჯგუფი დაეწია და პრიახინა III ადგილზე გავიდა. საბოლოოდ კი გუნდის ლიდერს IV ადგილი ერგო. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებსაც კი წლებადღეს სეზონში ასეთი შედეგი არა ჰქონია.

მოსკოვში ჩამოსვლისთანავე პრიახინას კეთილი ნების თამაშების შესარჩევ ტურნირში მოუხდა გამოსვლა. იანვარში ანალოგიურ შე-

ჯიბრებაზე იგი მეხუთე იყო, ამჯერად კი ინტერკონტინენტურ ტურნირში (3 კმ) თბილისში გვეყავა და შელო, ადგილი დაიკავა ფედერაციის ჩამოსვლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონის ქვეყნის ჩემპიონ ქოტოვა და ამარცხა. მოსკოვიდან პრიახინა ჰოლანდიას გაემგზავრა და იქაურ საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა, მერე ნორვეგიაში გადავიდა, ამჯამად კი მოსკოვში დასაკავშირო თაოსის გათამაშებაში მონაწილეობისთვის ემზადება, რომელიც, ფაქტურად, ბოლო შერჩევითი შეჯიბრება იქნება. ერთი სიტყვით, პრიახინას საქმოდ დაძაბული სეზონი ელის. იგი, ალბათ, ისპარეზებს კეთილი ნების თამაშებში, აგრეთვე მსოფლიო ჩემპიონატში როგორც ტრეკზე, ისე-გზატყეობაზე.

გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატში გამოსვლის შანსი აქვს ნატალია სამბაშიძეს. ამ ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ 1972 წელს დაბადებული სპორტსმენები, სამბაშიძე კი 74 წლიანია. ერთი სიტყვით, საქართველოს ველოსპორტის საერთაშორისო ავტორიტეტი ბოლო ერთი ერთობ გაიზარდა და ეს საკვებით კანონიერ მიმდებს გვიან ხვს.

ნავადა ღას-ვიგასის წარმატება

გადამარჯვებულად შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის სტუდენტთა ჩემპიონატი არაერთხელ არ ჩამოუვარდება კალათბურთის ერთგული ასოციაციის პირველობას და მაყურებელი სტუდენტთა მატჩებისადმი (ნკა) ისეთსავე დიდ ინტერესს იჩენს, როგორც ნბა-ს ჩემპიონატისადმი. ეს განსაკუთრებით ითქმის იათბო ტურნირზე, რომელიც სტუდენტური ჩემპიონატის გავრცელების წარმოადგენს.

ნახევარფინალში ნევადა ლას-ვეგასში 90:81 სძლია ჯორჯიას. გამარჯვებულთა გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო ანდერსონი პანტი (20 ქულა), დიუქმა დაამარცხა არკანზასი — 97:83. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ნევადა ლას-ვეგასი და დიუქი.

ფინალურ მატჩში, როგორც ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტი“ აღნიშნავს, ნევადა ლას-ვეგასის უპირატესობა აშკარა იყო. პირველი ტაიმი მოიგო — 47:35. მეორე ტაიმში მისი უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა და საბოლოოდ 30 ქულას მიიღწია — 103:73. კვლავ გამოიჩინა თავი კარგი თამაშით ანდერსონი პანტი (29 ქულა). როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ნევადა ლას-ვეგასის გუნდმა ერთმანეთს რამდენიმე რეკორდი დაამყარა. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მან პირველად სტუ-

დენტური კალათბურთის ისტორიაში მოიგო ფინალური მატჩი 30 ქულის სხვაობით. (სხვათა შორის, რეკორდი აქამდე ეკუთვნოდა კალიფორნიის უნივერსიტეტის გუნდს, რომელმაც 1968 წელს ფინალში 78:55 მოუგო ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტს). ეს იყო სტუდენტური კალათბურთის ისტორიაში პირველი შემთხვევა, როდესაც ფინალის მონაწილე გუნდმა ასზე მეტი ქულა მოაგროვა. აქამდე ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ისევ კალიფორნიის უნივერსიტეტის გუნდს აქონდა. 1964 წელს ფინალურ მატჩში დიუქთან კალიფორნიელებმა 98 ქულა მოაგროვეს. ამ დიდ წარმატებას ნევადა ლას-ვეგასის გუნდმა მიიღწია სომხური ტერიტორიის ამერიკელ ჯერი ტარკანის ხელმძღვანელობით, რომელსაც საკალათბურთო სამყაროში „ზევიანის“ მეტსახელი იწოდებენ.

უნდა ითქვას, რომ ამერიკელი მიმომხილველებისათვის ნევადა ლას-ვეგასის წარმატება მოულოდნელი არ ყოფილა. ეს კარგად ჩანს ამერიკელი ჟურნალისტის ბობ სკალცის სტატიიდან „სტუდენტური კალათბურთის მიმომხილველები“, რომელიც ჯერი კიდევ „ბასკეტბოლ ერინას“ წლევიანდელი წლის მატჩის ნომერში დაიბეჭდა. ეს გუნდი გამოირჩევა ათლეტური და ტექნიკური მომზადებით. ნევადა ლას-ვეგასი შარშანს

რვა უძლიერეს შორის იყო. მაგრამ ნახევარფინალში დაამარცხა სტონ-ჰოლთან, რაც მიმომხილველთა აზრით, ჩემპიონატის ყველაზე დიდი სენსაცია იყო. შარშანდელ სეზონში შორი მანძილიდან სროლა გუნდის მინუსი იყო. წლეულს მოთამაშებმა მკვეთრად გააუმჯობესეს ეს მაჩვენებელი და ახალმოხელმა ლარი ჯონსონმა ეს პრობლემა საბოლოოდ გადაჭრა. „არაფის აუქვებს, რომ ჯერი ტარკანიანი და მისი მეთაურობები (ასე ეძახიან მეტსახელად ნევადა ლას-ვეგასს) წელს კვლავ უძლიერესთა რიგებში იქნებიან“.

წერს ბობ სკალცი. ასეთი ვარაუდი საფუძველმოკლებული, რომ არ იყო ეს კარგად დაგეგმვა სტუდენტური ჩემპიონატის დასკვნითმა აკორდმა. ნევადა ლას-ვეგასმა ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

როგორც ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტი“ აღნიშნავს, ეს გუნდი ხშირად მიმართავს ზონურ დაცვას — 1-1-3, მიმომხილველთა აზრით, გუნდის უძლიერესი რგოლი თავდასხმაა. მისი წამყვანი მოთამაშეებია: ანდერსონი პანტი, გრეგ ალტონი, სტანი ედმონი, ჯორჯ ელნი, ლარი ჯონსონი, დევიდ ბატლერი, მოუხეს სქიური, ჯეიმს, ჯონსი, ბარი იანგი.

მეზობა კალანდაში, აპთანდელ მალაში.

„საპოლინი“ ჩემპიონია

რომი. ბოლო სამი წლის მანძილზე ორჯერ იტალიის ჩემპიონი კალათბურთში ვაეთა შორის გახდა პეზაროს „საპოლინი“. ამჯერად მან დროზე ადრე მოიგო „პლეი ოფი“-ის ფინალური სერიის ორთაბრძოლა ვარესს „რენჯერთან“ — 3:1. გამარჯვებულთა შორის საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვეს ნბა-ს პროფესიული ლიგის კალათბურთელებმა. ამერიკელებმა დარენ დეიმ და დარენ კუქმა. განსაკუთრებით საგრძნობი იყო მათი წვლილი ბოლო გამარჯვებაში — 113:94. დეიმ თავის კოლექტივს 29 ქულა შესძინა, კუქმა — 31. „საპოლინი“ მომავალ წელს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე იასპარეზებს.

„სპორტპროგნოზი“

გაერთიანებდა „სოიუსსპორტლოტომ“ შეჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის 21-ე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 1.995.481 ვარიანტი. 13 შედეგი არავის გამოუცვლია. 12 შედეგის გამოცნობისთვის (2) მოგება 10.000 მანეთია, 11 შედეგის გამოცნობისთვის (87) — 3.210.

საქართველოში: დაშვებულია 79.005 ვარიანტი. 13—0, 12—0, 11—4

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე

საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი

ატესტაციის მიღებას

საქართველოს ფიზიკური კულტურის ტექნიკუმში 1990/91 სასწავლო წლისათვის.

ტექნიკუმის ქართულ და რუსულ სექტორებზე მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, რომლებსაც აქვთ საშუალო და არასრული საშუალო განათლება.

სწავლის ვადა არასრული საშუალო სკოლადამთავრებულთათვის 3 წელია, ხოლო საშუალო სკოლადამთავრებულთათვის 2 წელია.

ტექნიკუმადამთავრებულს მიენიჭება „ფიზიკური კულტურის მასწავლებელ-ორგანიზატორის“ კვალიფიკაცია.

ტექნიკუმში უშვებს შემდეგ სპეციალისტებს: ინსტრუქტორებს, ინსტრუქტორ-მეთოდოსტებს, პედაგოგებს, პედაგოგ-ორგანიზატორებს, მასწავლებლებსა და მწვრთნელ-მასწავლებლებს.

ტექნიკუმში დამატებით ამზადებს მეორე სპეციალობის ინსტრუქტორებს — „სამკერძო ფიზიკურ კულტურისა და სპორტის მასაის“ განხრით.

ტექნიკუმში შემსვლელებმა მიიღებ კომისიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: სკოლის ატესტატი, მშდ-ს კომპლექსის ჩაბარების მოწმობა, ცნობა საქართველო ადგილიდან, სამედიცინო ცნობა №086, 6 ფოტოსურათი 3X4, სპორტსმენის საკლასიფიკაციო ბილეთი.

სასპორტს, დაბადების მოწმობას და საბუთის სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ შემსვლელო წარმოადგენს პირადად.

განცხადებების მიღება წარმოებს არასრულ საშუალო სკოლადამთავრებულთათვის 15 ივნისიდან 1 აგვისტომდე, ხოლო საშუალო სკოლადამთავრებულთათვის 15 ივნისიდან 5 აგვისტომდე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება: არასრული საშუალო სკოლადამთავრებულთათვის 2 აგვისტოდან 10 აგვისტომდე, ხოლო საშუალო სკოლადამთავრებულთათვის 6 აგვისტოდან 15 აგვისტომდე.

ტექნიკუმში შემსვლელოთათვის მისაღები გამოცდები ჩატარდება სპორტის არჩეულ სპეციალობაში და საერთო ფიზიკურ მომზადებაში, აგრეთვე არასრული საშუალო სკოლადამთავრებულთათვის ბიოლოგიაში (ზეპირი), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (კარხანი), საშუალო სკოლადამთავრებულთათვის: ბიოლოგიაში (ზეპირი), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (თხზულება).

ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილნი იქნებიან სტიპენდიით, საერთო საცხოვრებელი და სატანგლო სპორტული ფორმით.

მიღების საკითხებზე მიმართეთ მიმღებ კომისიას.

მისამართი: ქ. თბილისი, — 380025, კონსტიტუციის ქ. №6.

ტელეფონი: 95-30-06; 95-88-50.

საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი

„ლია კარის დღეს“

1990 წლის 14 ივნისს 15 საათზე, ტექნიკუმის კლუბში, (კონსტიტუციის ქ. №6) შედგება აბიტურიენტების შეხვედრა ტექნიკუმის ღირებულებათა კომისიასთან.

ღირებულებები, მიმღები კომისიის პასუხისმგებელი მდივანი, ციკლის კომისიის ხელმძღვანელები ჩაატარებენ საუბრებს მისაღები გამოცდების შესახებ.

კალეიდოსკოპი

რომში ცნობილია, წლეულს მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ციგურაბაში ქალთა შორის გახდა ეაკლინი ბარნერი. ეს მოხდა კალგარიში „ოვალის“ ოლიმპიურ საციკურაოზე. არადა, 1987 წელს ევროპის ჩემპიონატზე ბრიანგას მედლის მოპოვების შემდეგ იგი სპორტიდან წასვლას აპირებდა. სპეციალისტებს ბარნერის წარმატება მოლოანდა მისი მწვრთნელის თომას შუბერტის დამსახურებად მიაჩნიათ.

ნიდერლანდებში ზამთრის სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობაა ციგურებით სრული ითვლება. ეს ქვეყანა გარდ-გარდმო არჩებითაა დასერილი, რომლებიც ზამთრობით იყენება და ციგურაობისთვის გამოსაყენებელი ხდება. ამ არჩებზე ტარდება „მართონული გარბენები“ ათასობით მოციკურავის მონაწილეობით.

მიიმი ტრავმის შემდეგ კვლავ დაბრუნდა სპორტში 26 წლის ფრანგი მთბილაშურე ქალი კაროლ

მერელი. თავისი დაბრუნება მან სუპერგიგანტურ სლალომში მსოფლიო თასის გათამაშების ორ ეტაპზე გამარჯვებით აღნიშნა. 1992 წელს სლალომისტთა ოლიმპიური ტურნირი მერბელის მისი კალთებზე გაიმართლა. მერელი წარმოშობით სწორედ ამ სოფლიდანაა და აბიტრ ინტენსიურად ემზადება, რათა საკუთარი გულშემატკივრების წინაშე თავი არ შეირცხვის.

ბერ-ის სპორტსმენთა წარმატებები მაღალმთიანეთში დაკავშირებული ყოფილა ერთ საიდუმლოებასთან. სოფელ ინბაუშთან გღრის სპორტულ-ტანვარჯიშულ კავშირს ათიოდელ წლის წინ მთუწყვია ორი მიწისქვეშა სავარჯიშო დარბაზი-ბარაკა, საიდანაც სპეციალური ტუმბების დახმარებით ქაჩავდნენ ჰაერს და მოვარჯიშებს, ფაქტურად „გაიშვიათებულ დარბაზში“ უნდებოდათ წვრთნა. ამ ბაზების მშენებლობა თავის დროზე 16,5 მილიონი აღმოსავლეთგერმანული მარკა დაჯდა. ახლა აქ ვარჯიშს უტარებენსაქ შეუძლიათ. ამისათვის საქიროა მხოლოდ... 180 დოლარის გადახდა საათში.

ჩიპის დროში სპორტსმენ-

ბი პროფესიის ხშირად იცვლიან. მსოფლიოს მძლეოსნურ წრეებში ირინა მევენისკის (გდრ) იცნობდნენ როგორც მსოფლიოს ექს-რეკორდსმენს ბადროს ტყორცაში-მაგრამ მოვიდა ცნობა, რომ მან შეიცვალა პროფესია, გატაცებით დაიწყო ვარჯიში ქალთა ძიულში და სულ მალე წარმატებულად მიიღწია. მევენისკი გახდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონი მძიმე წონაში.

ვენიცია რომ ქვეყნის სპორტული ქვეყანაა, ამას სტატი-სტიკური მონაცემებიც ადასტურებენ. 4 მილიონი კაცი რეგულარულად ვარჯიშობს რომელიმე სახეობაში. მთავრობა ფიზიკური კულტურის განვითარებისთვის ყოველწლიურად გამოყოფს 7-8 მილიარდ კრონს. ბოლო ათი წლის მანძილზე მართო ბაზების მშენებლობაზე 3 მილიარდი კრონი დაიხარჯა. აშენდა 102 ყინულის მოედანი, 77 დახურული ჩოგბურთის კორტი, 46 ტანვარჯიშული დარბაზი, გოლფის 40 მოედანი. ახლა შეეცაობა 200 ყინულის მოედანია და 3300-ზე მეტი ფეხბურთის მინდორი. დარბაზებსა და სტადიონებზე ვარჯიში მოსახლეობას უფასოდ შეუძლია.

„ლელო“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა თ. მიგრიული. კორექტორები მ. ძეძიძე და ე. ზომერიკი.

ჩიპის მისამართი:
წერილებსთვის — 380006, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, დეპარტამენტის — თბილისი, „ლელო“.

ჩიპის მისამართი:
წერილების განყოფილება — 98-97-55, ხაზაფრის — 98-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 98-97-58, მერაია — 98-97-28, მარაგე — 98-97-27.

ჩიპის მისამართი:
056050 66455

საქართველოს კმ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისანი ხტაშა. 280006, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, ამბეღება ოფსეტური წესით ხავაშეთი კარბუსი: ხაშარაული, 28.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 ჯგ 08 779